ეროვნული სკრინინგ ცენტრი
NATIONAL SCREENING CENTER

0167, ქ. თბილისი, გლდანი IV მკრ. 113 ა
ტელ: (+995 32) 220 35 35

113 A Gldani IV, Tbilisi, Georgia, 0167
Tel: (+995 32) 220 35 35

N 1/01-248

02.10.2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოціალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
15 05
030189334781019

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 12 დეკემბერს, ეროვნული სკრინინგ ცენტრი გეგმავს საქმიანობის წლიური ანგარიშისა და სამომავლო გეგმების შესახებ პრეზენტაციას, სადაც მოეწყობა ცენტრის საქმიანობის, მიღწევების, სტატისტიკისა და განვითარების ახალი მიმართულებების წარდგენა.

პრეზენტაციაზე, გარდა ქვეყნის სამედიცინო სფეროს წამყვანი სპეციალისტებისა (ონკოლოგები, რადიოლოგები, ონკო-ქირურგები, მამოლოგები, გინეკოლოგები, ენდოკრინოლოგები, ციტოპათოლოგები და უროლოგები), მოწვეული იქნებიან, როგორც აღმასრულებელი, ასევე, საკანონმდებლო ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, დონორი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები. ღონისძიების შესახებ დეტალურ ინფორმაციას მოგაწვდით უახლოეს მომავალში.

ღონისძიების ფარგლებში, ეროვნული სკრინინგ ცენტრი გეგმავს ბროშურის გამოცემას, სადაც წარმოდგენილი იქნება სკრინინგ ცენტრის დირექტორისა და მიმართულებების ხელმძღვანელების სტატიები, როგორც, უშუალოდ, კიბოს სკრინინგის პროგრამის განხორციელებისა და სიახლეების დანერგვის, ასევე, ცენტრის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

გარდა ამისა, აღნიშნულ გამოცემაში იგეგმება პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან კიბოს სკრინინგის პროგრამის, ცენტრის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით მათი ხედვებისა და შეფასებების გამოქვეყნება.

აღნიშნული ბროშურის გამოცემა თავის წვლილს შეიტანს კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის, პრევენციისა და კიბოს სკრინინგული პროგრამების პოპულარიზაციის საქმეში და კიდევ ერთხელ შეახსენებს მოქალაქეებს, რამდენად მნიშვნელოვანია დროული მომართვიანობა.

136308
02.10.2019

ჩვენთვის პატივია თქვენი სტატიის ბროშურაში განთავსება, რაც კიდევ ერთხელ აღნიშნავს ამ კონკრეტული თემისადმი თქვენს მხარდაჭერას. ჯანდაცვის სამინისტროს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება სწორი პოლიტიკის განსაზღვრის, პროგრამის განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

სურვილის შემთხვევაში გთხოვთ, მოგვაწოდოთ სტატია არა უგვიანეს მიმდინარე წლის 18 ოქტომბრისა. სტატია უნდა იყოს აკრეფილი Word-ის დოკუმენტში, 1 გვერდამდე ქართულ და ინგლისურ ენებზე (Sylfaen, 12). ამასთან, სტატიის გასაფორმებლად, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი ფოტო.

გთხოვთ, მოგვწერეთ სტატიის მომზადების შესაძლებლობის შესახებ.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ეთერ კილურაძე

ეროვნული სკრინინგ ცენტრის დირექტორი